

BAG

ინდუსტრი

ბიზნეს
კლიმატი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA



Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research

სარჩევი

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	5
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	9
დაფინანსება	15
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	16

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს². კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს და აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. მიმდინარე კვარტალში კომპანიებმა, ასევე, შეაფასეს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა მათ ბიზნესსაქმიანობაზე. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2022 წლის მეორე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის 10 – 30 მაისის პერიოდში.

2022 წლის II კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2022 წლის II კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 38.4 ეულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 21.6, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 56.5 ეულაა.


2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 3.8 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გაუმჯობესდა გამოკითხული კომპანიების მიერ როგორც მიმდინარე მდგომარეობის შეფასება (გაიზარდა 3.5 ქულით), ასევე, მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი (გაიზარდა 4.2 ქულით).

2022 წლის II კვარტლის შედეგები, ასევე, გაუმჯობესებულია 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 20.5-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება -2.2-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 45.8-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია და უმჯობესდება. 2021 წლის I და II კვარტლებში აღნიშნულს ძირითადად განაპირობებდა მომდევნო 6 თვის ოპტიმისტური მოლოდინი. თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, ასევე, განაპირობებს გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის მიერ მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება (იხილეთ გრაფიკი 1).


¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისთვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ბუმის ფაზაში იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, **აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა** და **რეცესია**:

- ✦ თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**აღმასვლის**“ მეოთხედში.
- ✦ თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**ბუმის**“ მეოთხედში.
- ✦ თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**დაღმასვლის**“ მეოთხედში.
- ✦ თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**რეცესიის**“ მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი საქართვების მიხედვით


2022 წლის II კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობის, მშენებლობის და მომსახურების სექტორებში, ხოლო მრეწველობის სექტორში გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 3).

2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება გაუმჯობესდა ვაჭრობის, მომსახურების და მშენებლობის სექტორებში, ხოლო მრეწველობის სექტორში გაუარესდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის II კვარტალში, მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიები მიმდინარე მდგომარეობას უარყოფითად აფასებენ. სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობა ყველაზე დადებითად შეფასდა ვაჭრობის სექტორის მიერ. აღნიშნულს შესაძლოა, განაპირობებდეს სექტორში გაზრდილი გაყიდვები (ვაჭრობის სექტორში კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა (57%) დააფიქსირა 2022 წლის II კვარტალში გაყიდვების ზრდა).

რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს**, 2022 წლის II კვარტალში, მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორისთვის. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, მაჩვენებელი მცირედით არის გაუარესებული მომსახურების და მშენებლობის სექტორებში. რაც შეეხება ვაჭრობის და მრეწველობის სექტორებს, მაჩვენებელი გაუმჯობესებულია. სექტორებს შორის ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს 2022 წლის III კვარტალში ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით. სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 69% მომდევნო კვარტალში გაყიდვების ზრდას ელის.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	50.6	31.4	71.4
მომსახურების სექტორი	39.9	28.3	52.2
მრეწველობის სექტორი	17.9	-12.5	53.3
მშენებლობის სექტორი	22.3	9.1	36.4
ყველა სექტორი	38.4	21.6	56.5




გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2022 წლის I და 2022 წლის II კვარტალებში

2021 წლის I კვარტლიდან ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია. სექტორებში არსებულ ბიზნეს კლიმატის დადებით შეფასებას ძირითადად განაპირობებს როგორც ოპტიმისტური მოლოდინის არსებობა, ასევე, მიმდინარე მდგომარეობის პოზიტიური შეფასება.

ვაჭრობის, მომსახურების და მრეწველობის სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I კვარტლიდან, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, უმჯობესდებოდა. გაუმჯობესების ტენდენცია ვაჭრობის და მომსახურების სექტორებში 2022 წლის II კვარტალშიც შენარჩუნდა. ხოლო მრეწველობის სექტორში 2022 წლის II კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუარესდა.

მშენებლობის სექტორში 2021 წლის I და II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან, მაჩვენებელი დადებითია და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდება. მშენებლობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლის გაუმჯობესებას ძირითადად განაპირობებს ბიზნესის ოპტიმისტური მოლოდინი (იხილეთ გრაფიკი 4).



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოცულობა და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით დასაქმება

2022 წლის I კვარტლის შეფასება


- 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების 28.7%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობაში (60.2%) დასაქმებულთა რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო 11.1%-სთვის შემცირდა.
- სექტორებს შორის, გამოკითხული კომპანიების ყველაზე დიდი ნაწილი (43.8%) მრეწველობის სექტორში ამბობს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა გაზარდა 2022 წლის I კვარტალში (იხილეთ გრაფიკი 5). აღნიშნული შესაძლოა, უკავშირდებოდეს გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობაში მოთხოვნის ზრდას (კომპანიათა 43.8%-მა დააფიქსირა 2022 წლის I კვარტალში მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა).

2022 წლის II კვარტლის შეფასება

- გამოკითხულ კომპანიათა 29.9% აცხადებს, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ხოლო კომპანიათა 5.6%-ში მცირდება. კომპანიათა უმეტესობის (64.5%) განცხადებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ იცვლება.
- სექტორებს შორის, მრეწველობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა ყველაზე დიდი ნაწილი (40%) ამბობს, რომ წინა კვარტალთან შედარებით, 2022 წლის II კვარტალში, დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება.
- ვაჭრობის, მშენებლობის და მომსახურების სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა მნიშვნელოვანი ნაწილი (65.7%, 63.6% და 69.6%, შესაბამისად) ამბობს, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ იცვლება.

2022 წლის III კვარტლის მოლოდინი

- ✖ გამოკითხული კომპანიების 31.8% თვლის, რომ 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, დაქირავებულთა რაოდენობას გაზრდის, მხოლოდ 3.7% ვარაუდობს კლებას. კომპანიათა უმეტესობა (64.5%) არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას.
- ✖ დასაქმების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მრეწველობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას კომპანიათა 46.7% ვარაუდობს. აღნიშნულს, სავარაუდოდ, განაპირობებს ამ სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.
- ✖ სექტორებს შორის, მომსახურების სექტორში გამოკითხულ კომპანიათა ყველაზე დიდი ნაწილი (76.1%) მიიჩნევს, რომ 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ შეიცვლება.



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში³

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში 2021 წლის I კვარტლიდან იზრდებოდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც აფიქსირებდნენ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, თუმცა 2021 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ეს მაჩვენებელი აღნიშნული სექტორებისთვის 11 და 13 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2022 წლიდან ორივე სექტორში კვლავ დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა დასაქმებასთან მიმართებით, და მოსალოდნელია, რომ 2022 წლის III კვარტალში ორივე სექტორში მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპანიათა წილი, რომლებიც გაზრდიან დასაქმებულთა რაოდენობას.

2021 წლის I კვარტლიდან, დასაქმებასთან მიმართებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნებოდა მომსახურების სექტორშიც. თუმცა, 2022 წლის I კვარტალში მნიშვნელოვნად (10 პროცენტული პუნქტით) შემცირდა კომპანიათა წილი, რომლებიც აფიქსირებენ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. რაც შეეხება 2022 წლის III კვარტლის მოლოდინს, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას მომსახურების სექტორში გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 22% გეგმავს, კომპანიათა უმრავლესობა კი დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას არ ვარაუდობს.

³ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.
* წინასწარი შეფასება.

2021 წლის განმავლობაში, სხვა სექტორებისგან განსხვავებით, არასტაბილურობით გამოირჩეოდა ვაჭრობის სექტორში იმ კომპანიების წილი, რომლებიც დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას აფიქსირებდნენ. აღნიშნული მაჩვენებელი 12%-32%-ს შორის მერყეობდა. თუმცა 2022 წლის II კვარტლიდან იზრდება იმ კომპანიათა წილი, რომელიც დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას გეგმავს და მოსალოდნელია, რომ 2022 წლის III კვარტალში უფრო მეტი კომპანია გაზრდის ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

2022 წლის I კვარტლის შეფასება


- გაყიდვების მხრივ არსებული მდგომარეობა ყველაზე პოზიტიურად ვაჭრობის სექტორში შეფასდა. გამოკითხული კომპანიების 54.3%-სთვის, 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, გაყიდვები გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 6).
- 2022 წლის I კვარტალში, გაყიდვების მხრივ არსებული მდგომარეობა ყველაზე ნეგატიურად მშენებლობის სექტორში შეფასდა, რადგან გამოკითხული კომპანიების 36.4%-სთვის, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, სამშენებლო კონტრაქტები/წინასწარი გაყიდვები შემცირდა.

2022 წლის II კვარტლის შეფასება

- 2022 წლის II კვარტალში, გაყიდვების მიმართულებით არსებული მდგომარეობა ყველაზე კარგად ვაჭრობის სექტორში შეფასდა, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 57.1% ამბობს, რომ მათი გაყიდვები, წინა კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- 2022 წლის II კვარტალში, 2021 წლის I კვარტლის მსგავსად, გაყიდვების მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა მშენებლობის სექტორებში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 40% აცხადებს, რომ მათი გაყიდვები წინა კვარტალთან შედარებით, შემცირდა.

2022 წლის III კვარტლის მოლოდინი

- გაყიდვებთან დაკავშირებით, ყველაზე პოზიტიური მოლოდინი ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 68.8% აცხადებს, რომ 2022 წლის III კვარტალში გაყიდვების ზრდას მოელოდა.
- სექტორებს შორის, ყველაზე დიდი წილი იმ კომპანიებისა, რომლებიც 2022 წლის III კვარტალში გაყიდვების კლებას პროგნოზირებს მშენებლობის (9.1%) და მრეწველობის (12.5%) სექტორებშია.



გრაფიკი 6: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

2021 წლის განმავლობაში, სექტორებს შორის დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა ვაჭრობის, მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში, სადაც კომპანიათა უმრავლესობაში ფიქსირდებოდა გაყიდვების რაოდენობის ზრდა. 2022 წლის I კვარტალში, სამივე სექტორში შემცირდა იმ კომპანიათა წილი, რომელიც გაყიდვების ზრდას აფიქსირებდა, თუმცა 2022 წლის მეორე კვარტლიდან კვლავ ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I და II კვარტლებში გაყიდვებთან მიმართებით არაერთგვაროვანი ტენდენცია იკვეთება მშენებლობის სექტორში. ყოველკვარტალურად იზრდება იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც გაყიდვების ზრდას აფიქსირებენ. თუმცა, პარალელურად, ასევე, იზრდება იმ კომპანიათა წილი, რომლებიც გაყიდვების კლებას ელიან.

გაყიდვების ფასები

2022 წლის I კვარტლის შეფასება


- ✘ გამოკითხული კომპანიების დიდმა ნაწილმა (47.7%) განაცხადა, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა, ხოლო 45.8%-მა ფასები გაზარდა. კომპანიების 6.5% კი აცხადებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 7).
- ✘ სექტორალურ ჭრილში, ფასების ზრდა 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დააფიქსირა ვაჭრობის სექტორში გამოკითხული კომპანიების ყველაზე დიდმა ნაწილმა (60%).

2022 წლის II კვარტლის შეფასება

- ✘ გამოკითხული კომპანიების 37.1% აცხადებს, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, გაყიდვების ფასები იზრდება. 58.1%-ის განცხადებით, გაყიდვების ფასები არ იცვლება და მხოლოდ გამოკითხულ კომპანიათა 4.8%-სთვის მცირდება.
- ✘ ფასების ზრდა დააფიქსირა მშენებლობის სექტორში გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა. ამ სექტორში, კომპანიების 50%-მა განაცხადა, რომ გაყიდვების ფასები, 2022 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- ✘ აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორში არც ერთი გამოკითხული კომპანია არ აფიქსირებს გაყიდვების ფასების შემცირებას 2022 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით.

2022 წლის III კვარტლის მთლოდინი

- ✘ გამოკითხულ კომპანიათა 29.9% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას, 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით. მაშინ როცა 68.2% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ 1.9% ვარაუდობს, რომ ფასები დაიკლებს.
- ✘ სექტორებს შორის, მშენებლობის სექტორში პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია (63.6%) მოელის ფასების ზრდას, 2022 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით.
- ✘ აღსანიშნავია, რომ მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში არც ერთი გამოკითხული კომპანია არ მოელის ფასების შემცირებას 2022 წლის III კვარტალში, 2022 წლის II კვარტალთან შედარებით.




გრაფიკი 7: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

საერთო ჯამში, 2021 წლის განმავლობაში, კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში აფიქსირებდა, რომ გაყიდვების ფასები იზრდებოდა. ორივე სექტორში აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია 2022 წელსაც.

მომსახურების სექტორში 2022 წლის I კვარტლიდან, 2021 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, იზრდება იმ კომპანიების წილი, რომლებიც აფიქსირებდნენ გაყიდვების ფასების ზრდას. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, 2022 წლის I კვარტლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც ფასების ზრდას აფიქსირებენ. სექტორში ფასების ზრდის მოლოდინი განსაკუთრებით მაღალია 2022 წლის III კვარტალში. აღნიშნული შესაძლოა, უკავშირდებოდეს რუსეთ-უკრაინის ომის გამო სამშენებლო მასალებზე ფასის მკვეთრად გაძვირებას და მოთხოვნის ზრდას.

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, გაიზარდა იმ კომპანიების წილი (5 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შეშლელი ფაქტორები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის II კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, ასეთი კომპანიების წილი მნიშვნელოვნად, 10 პროცენტული პუნქტით, არის შემცირებული.



გრაფიკი 8: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2022 წლის II კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა⁴, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სპეციალისტების ნაკლებობა, საშუალო ძალის ნაკლებობა და პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე (იხილეთ გრაფიკი 9).

მოცემულ კვარტალში, მსგავსად წინა ოთხი კვარტლისა, პრობლემათა შორის პირველი ადგილი **ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ** დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 53% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორებს შორის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის კომპანიებისთვის (90%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი მომსახურების სექტორისთვის (40%) (იხილეთ გრაფიკი 10).

საწარმოს ზომის მიხედვით⁵, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (60%-მა დაასახელა ხელის შემშლელად) (იხილეთ გრაფიკი 11).

2022 წლის II კვარტალში, პრობლემათა შორის მეორე ადგილი **სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ბარიერებმა დაიკავა** (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 41% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორების მიხედვით, აღნიშნული ფაქტორი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (50%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში (კომპანიათა 22%-მა დაასახელა ხელის შემშლელად). სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (47%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2022 წლის II კვარტალში, **სპეციალისტების ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 36%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე ვაჭრობის სექტორისთვისაა (42%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - მრეწველობის სექტორისთვის (22%). საწარმოთა ზომის მიხედვით, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (38%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).


⁴ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.

⁵ საწარმოს ზომა განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილი.

2022 წლის II კვარტალში, **სამუშაო ძალის ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 32%-მა დაასახელა. სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე ვაჭრობის სექტორისთვისაა (46%). საწარმოთა ზომის მიხედვით, სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (41%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).


რაც შეეხება **მოთხოვნის სიმცირეს**, 2022 წლის II კვარტალში, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 23%-მა დაასახელა. მოთხოვნის სიმცირე, როგორც ხელის შემშლელი ფაქტორი, ყველაზე მეტად მომსახურების სექტორის (33%) მიერ ფიქსირდება. საწარმოთა ზომის მიხედვით, მოთხოვნის სიმცირის პრობლემა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებს აქვთ (40%).

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა შემსუბუქდა (9 პროცენტული პუნქტით). აღნიშნული უკავშირდება 2022 წლის მაისში აშშ დოლარის მიმართ ლარის გამყარების ტენდენციას. ხოლო ყველაზე მეტად შეზღუდული ფინანსური რესურსების (6 პროცენტული პუნქტით) პრობლემა გამძაფრდა (იხილეთ გრაფიკი 12).




გრაფიკი 9: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2022 წლის II კვარტალში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები სექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალში



გრაფიკი 10: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2022 წლის II კვარტალში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები სანარმოს ზომის მიხედვით 2022 წლის II კვარტალში



გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სანარმოო ზომის მიხედვით 2022 წლის II კვარტალში

სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები

2022 წლის II კვარტალში, იმ კომპანიათა უმეტესობამ, რომლებმაც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები დაასახელეს ხელის შემშლელ ფაქტორად, წინა კვარტლის მსგავსად, **მარეგულირებელი გარემო (73%)** დაასახელეს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რის გამოც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. სექტორებს შორის, მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად დაასახელა მშენებლობის სექტორში გამოკითხულმა ყველა კომპანიამ, რომლისთვისაც არსებობს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები. ხოლო მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორის მიერ სახელდება (50%).







სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის, მეორე ადგილს **ადმინისტრაციული საკითხები (50%)** იკავებს. აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (60%), ყველაზე ნაკლებად კი მომსახურების სექტორში (43%).

რაც შეეხება **სასამართლო სისტემას**, აღნიშნული ფაქტორი სექტორებს შორის, ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორში დაფიქსირდა (50%). ხოლო მშენებლობის სექტორში აღნიშნული ფაქტორი საერთოდ არ დასახელებულა ხელის შემშლელად.

COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები კომპანიათა მხოლოდ 10%-მა დაასახელა ხელის შემშლელად. აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა (22%), ხოლო მშენებლობის და მრეწველობის სექტორისთვის COVID-19 საერთოდ აღარ წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს.

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვებს და სასამართლო სისტემას ასახელებდა ხელის შემშლელად (შესაბამისად 38 და 18 პროცენტული პუნქტებით), ხოლო ყველაზე მეტად გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც მარეგულირებელ გარემოს მიიჩნევს ხელის შემშლელად (7 პროცენტული პუნქტით).

**ბიზნესაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ძირითადი ფაქტორები
IV კვ. 2019 - II კვ. 2022**



გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის


⁶ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შეშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.

დაფინანსება


2022 წლის II კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 46%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელია (4 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 13).

2022 წლის II კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 26% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი (11 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).

საწარმოთა ზომის მიხედვით, 2022 წლის II კვარტალში, ფინანსებზე წვდომა პრობლემას ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს (33%). ფინანსებზე წვდომა ყველაზე ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას მცირე ზომის საწარმოებისთვის (მხოლოდ 9%-მა დაასახელა პრობლემად). რაც შეეხება მსხვილი ზომის კომპანიებს, მათმა 30%-მა განაცხადა, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს.




გრაფიკი 13: დაფინანსების მოძიება



გრაფიკი 14: ფინანსებზე წვდომა⁷

⁷ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁸, 2022 წლის II კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, 2022 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.




გრაფიკი 15: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ


2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კომპანიების წილი (14 პროცენტული პუნქტით), რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით, 2022 წლის II კვარტალში, 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გამყარების მოლოდინი აქვთ მომდევნო 6 თვეში. აღნიშნული მოლოდინი შესაძლოა განპირობებული იყოს 2022 წლის მაისში ლარის გამყარების ტენდენციით.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის IV კვარტლიდან ყოველკვარტალურად მცირდება იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებსაც ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ.



გრაფიკი 16: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

⁸ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



კონტაქტი:

ლენინის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge